განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მედიის კვლევები,
სამაგისტრო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები:
17,18 და 19 ნოემბერი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი
20 დეკემბერი 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მედიის კვლევები Media Studies
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მედიის კვლევების მაგისტრი MA of Media Studies
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა - 0321
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 09.09.2011; გადაწყვეტილების № 5

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნატალია თვალჭრელიძე, სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო შოშიტაშვილი, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ გაგუა, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, ა(ა)იპ-ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები“ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებაზე (თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი) არსებობს 2011 წლიდან, როცა მან მოქმედი პროგრამის სტატუსი მიიღო. მისი განხორციელება დაიწყო 2012 – 2013 სასწავლო წლიდან.
ამჟამად პროგრამის ახალი სახელწოდებაა - „მედიის კვლევები“ სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა “მედიის კვლევების მაგისტრი“ პროგრამა კვლევით ხასიათს ატარებს და მისი მიზანია მოამზადოს მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის მკვლევარი, რომელსაც შეუძლია აკადემიურ სფეროში ახალი ცოდნის კონტრიბუცია; ადგილობრივი და საერთაშორისო მედიის კვლევებისა და მათი შედარების საფუძველზე გაანალიზება იმისა, თუ რა კავშირშია მედია საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესთან; ჟურნალისტის როლის გაცნობიერება საზოგადოებისა და კულტურის ტრანსფორმაციაში; სიღრმისეული გააზრება იმ მულტიდისციპლინული და ინტერკულტურული კომუნიკაციების მოდელებისა, რომლებიც მედიის განვითარებას, ასევე აუდიტორიაზე მედიის ზემოქმედებასა და უკუგებას განაპირობებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შემოწმება დაწესებულებაში განხორციელდა 2021 წლის 17, 18 და 19 ნოემბერს. კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, შეფასება უმეტესწილად განხორციელდა დისტანციურად, zoom პროგრამის მეშვეობით. შეხვედრები შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან. შეხვედრა ასევე გაიმართა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. 2021 წლის 17 ნოემბერს აკრედიტაციის ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიური ბაზა და უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრი (თსუ კორპ 6). სააკრედიტაციო ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აგრეთვე, მიმოიხილეს თსუ-ს სხვა სასწავლო რესურსები, გაეცნენ ბიბლიოთეკის საძებო სისტემასა და ბაზებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

„მედიის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია 1, 3, 4 და 5 სტანდარტებთან და მეტწილად შესაბამისია 2 სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**
  - მემორადუმების ფარგლებში არსებულ ორგანიზაციებთან შემუშავდეს პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსი.
  - სამაუწყებლო პროდუსირების სასწავლო კურსის შინაარსი (მათ შორის შეფასების კომპონენტები, ლიტერატურა) დაკორექტირდეს კურსის მიზნებისა და შედეგების შესაბამისად.
  - რეკომენდებულია, დასწრების კომპონენტი არ იყოს შეფასებადი და ქულები შესაბამისად იყოს გაწერილი აქტივობაზე.
  - რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის დამატება, რათა მოხდეს ხელმძღვანელობის რაციონალური დატვირთვის გადანაწილება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია სტუდენტების მეტი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა იმ შესაძლებლობების თაობაზე, რასაც პროგრამა მათ სთავაზობს.
  - სასურველია დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გააქტიურება პროგრამის მიმდინარეობის შესახებ და მათი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის დახვეწისა და განვითარების პროცესში.
  - ინტერვიუს ფარგლებში გამოვლენილი არათანაბარი ინფორმაციულობის გათვალისწინებით, სასურველია გააქტიურდეს დამატებითი აქტივობების ინიცირება სტუდენტთა და მოწვეულ ლექტორთა ჩართულობის წახალისებისთვის. სასურველია კოლეგიალური შეფასების განხორციელება აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით, რაც წაადგება კურიკულუმისა და შესაძლებლობების გაუმჯობესებას, დარგის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების მექანიზმი, ე.წ. აკრედიტაციის სიმულაციური ფორმატი.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
  - პროგრამის მიღწევები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით
  - პროგრამის თვითშეფასებისა და შესაბამისი პროცესების ელექტრონულ პლატფორმაზე გადატანა.

- **ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პასუხი, რომელიც ნაწილობრივ იზიარებს წინამდებარე დასკვნაში მოყვანილ რეკომენდაციებს, რაც მისასალმებელია.

აკრედიტაციის ჯგუფის წევრთა ერთობლივი პოზიციის გათვალისწინებით დასკვნა დარჩა უცვლელი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტურია, მიღწევადია და ასახავს იმ ცოდნას და უნარებს, რისკენაც არის პროგრამა ორიენტირებული. კერძოდ, პროგრამა მიზანია მოამზადოს მედიისა კვალიფიციური მკვლევარი, რომელიც შეიძენს მულტიდისციპლინული და ინტერკულტურული კომუნიკაციების მოდელების კონტექსტურ, ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომლებიც მედიის განვითარებას, აუდიტორიაზე მის ზემოქმედებასა და უკუგებას განაპირობებს; სიღრმისეულად გაიაზრებს მედიის კლასიკურ კონცეფციებსა და უახლეს თეორიებს, განსაზღვრავს მის ადგილს არა მარტო მასობრივი კომუნიკაციის, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სისტემაში; ასევე კრიტიკულად გაიაზრებს მედიის როლსა და კავშირს საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესთან, მის წვლილს საზოგადოებისა და კულტურის ტრანსფორმაციაში; პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დაცვით დაგეგმავს, განახორციელებს და არგუმენტირებულად წარადგენს საკუთარი კვლევის შედეგებს, შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, აკადემიური და ფართო საზოგადოების წინაშე. პროგრამის მიზნები თანხვედრაშია დასაქმების ბაზარის მოთხოვნებთან, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი კვლევის მიხედვით, შრომის ბაზარი ქმედით მედიამკვლევრებს საჭიროებს. პროგრამის მიზნები ასახავს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში მის (პროგრამის) წვლილს- კომუნიკაციის სფეროში მრავალმხრივი ცოდნის მიცემასა და მედიის როლისა და კავშირის გაზიარებას საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესთან, რაც დარგის გამოწვევების ადეკვატურია. პროგრამის მიზნები ესადაგება უნივერესიტეტის მისიას, კერძოდ, მიზანი შეესაბამება მისიის იმ პუნქტებს, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას; პროგრამის მიზნები შეესაბამება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასაც. კერძოდ, ფაკულტეტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ მის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშეწყობა; კონკურენტული კადრების მომზადება; ასევე ჩამოთვლილია ღირებულებები, მათ შორის პროფესიონალიზმი, პასუხისგებლობა, ღიაობა და ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა. ამ თვალსაზრისით, პროგრამის მიზნები სრულად ერგება ფაკულტეტის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ამავე დოკუმენტში SWOT-ანალიზის მიხედვით, ძლიერი მხარეების ჩამონათვალში აღნიშნულია ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხი. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ინტერვიუს სესიებით დასტურდება, რომ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება საქართველოში აშშ-ს საელჩოსთან თანამშრომლობის (2013 წლიდან დღემდე) ფარგლებში ახორციელებს სხვადასხვა პროექტს: მულტიმედიაცენტრის ჩამოყალიბება- განახლება; "მედიაგანათლების პროგრამა"; "ისწავლე ჟურნალისტიკა ონლაინ". პროგრამას კარგი თანამშრომლობა აქვს „ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის“ (Freie Universität Berlin) „ჟურნალისტიკისა და კომუნიკაციურ მეცნიერებათა ინსტიტუტთანაც“ (IPK), რომლის ბაზაზე მომზადდა გერმანიის საგარეო სამინისტროს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით დაფინანსებული საერთაშორისო საგრანტო პროექტი -„ჟურნალიზმი ევროპულ საზოგადოებებში“ (JOURNALISM IN EUROPEAN SOCIETIES (JOUREG)); ასევე "დოიჩე ველეს" ხელშეწყობით განხორციელებული აქვს სიმპოზიუმები და კონფერენცია (2014-2016წ.წ.); ასევე უცხოელი პედაგოგების მიერ ჩატარებული სასწავლო კურსები (2015-16 და 2019 წ.წ.).
პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, საჯაროა და ხელმისაწვდომია თსუ- ს ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მისია, მიზნები და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- დასაქმების ბაზრის კვლევა;
- თსუ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან , პროგრამის ხელმძღვანელებთან .

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამის მიღწევები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგებში მოცემულია ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულების შემდეგ. წარმოდგენილი შედეგები შეესაბამება სფეროს სპეციფიკას, არის მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი აღწერს და სისტემურად განმარტავს მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე თეორიებსა და კვლევის მეთოდებს, მათი განვითარების ისტორიას; ღრმად და კომპლექსურად აანალიზებს დარგის პრობლემატიკას, მართებულად და დამოუკიდებლად აგებს კვლევის კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოს; პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დაცვით აგროვებს რეპრეზენტატულ ან/და სიღრმისეულ მონაცემებს; შესაბამისი კვლევის ტექნიკებისა და კონტექსტური ცოდნის გამოყენებით აანალიზებს და აფასებს არსებულ მედიაგარემოს, გამოაქვს დასაბუთებული დასკვნები; აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით ამზადებს აკადემიური დარგის შესაბამის კვლევით ნაშრომს; არგუმენტირებულად მსჯელობს მედიაინსტიტუციათა ფუნქციონირების სტანდარტების შესახებ და მათით ხელმძღვანელობს საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას; პროფესიულ დონეზე იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს სამეცნიერო კვლევისა და მისი შედეგების კომუნიკაციისთვის. ამასთან საკუთარი კვლევის შედეგებით ხელს უწყობს მედიაგრემოს განვითარებასა და მედიაკლიმატის გაუმჯობესებას როგორც ლოკალურ, ისე რეგიონულ დონეზე. მოცემული სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც დასტურდება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკით.

პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფმა შედეგების ფორმირებისას გაითვალისწინა სასწავლო მეთოდოლოგია; შეფასების სისტემა; მატერიალური და ადამიანური რესურსი;

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში შემავალი ძირითადი სასწავლო კურსების ერთობლიობა და თემატური სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება კურიკულუმის რუკით.

მოქმედ და პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუთა შედეგების ანალიზით დასტურდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.

საგანმანათებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების (პსშ) შეფასების მექანიზმი. პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია დარგობრივი მახასიათებლისა და მომავალი მაგისტრის აუცილებელი კომპეტენციების გათვალისწინებით. სწავლის შედეგების შეფასებისათვის პროგრამა იყენებს ტესტს, ესსეს, დემონსტრირებასა და პრეზენტაციას, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას და მისთ. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. ინტერვიუს სესებით დასტურდება, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოიყენება. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა საშუალებას, სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი; შეფასების ფორმები. • კურიკულუმის რუკა; • დასაქმების ბაზრის კვლევა; • ინტერვიუს სესიები ხარისხის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთვრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე - „მედიის კვლევები“ დაიშვებიან აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც გადალახავს საერთო სამაგისტრო გამოცდის მინიმალურ ზღვარს; გარდა ამისა, გაივლის შემდეგ ეტაპებს: • წერით გამოცდას სპეციალობაში; • გამოცდას ინგლისური ენაში (B2 დონე)/შესაბამისი სერტიფიკატი თსუ ენების ცენტრის მოთხოვნის შესაბამისად; • გასაუბრებას მიმღებ კომისიასთან; საბოლოო რანჟირებული ქულების გამოთვლა ადეკვატურია: • წერითი გამოცდა სპეციალობაში - 60 ქულა - მინიმალური 51 ქულა; • ზეპირი გასაუბრება სპეციალობაში - 20 ქულა; • ინგლისური ენის გამოცდა/სერთიფიკატი - 20 ქულა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯაროა და თავსდება უსდ-ს ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • უსდ-ს ვეგბვერდი; • ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა სტუდენტს სთავაზობს მედიაკვლევებისთვის აუცილებელ სუბდისციპლინურ სიღრმისეულ ცოდნას და ასევე, მას აძლევს შესაძლებლობას პროფესიული ორიენტირების მიხედვით აირჩიოს სასწავლო კურსები თემატური ჯგუფებიდან. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოქმედი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად. პროგრამის მოცულობა და კომლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელი ანუ 4 სემესტრია და მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამის სტრუქტურული დიზაინი კრედიტებში ასე გამოიყურება: ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 75 ECTS (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი); ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 40 ECTS , თავისუფალი კრედიტები -5. ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები გაერთიანებულია თემატურ ჯგუფებში: „გლობალური კომუნიკაცია და მედიის „დღის წესრიგი“ და „კომუნიკაციის თეორიები და მედიაეფექტები“. პროგრამის შინაარსი (და წარმოდგენილი ლიტერატურა) ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება კურიკულიმის რუკით. პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობებიც ადეკვატურია. პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; პროგრამის საჭიროებების დადგენის მიზნით ჩატარებულია შრომის ბაზარის კვლევა და გამოკვეთილია პრიორიტეტები: სიღრმისეული კვლევის ჩატარების უნარი, მათ შორის ციფრული მიმართულებებით; სარეკლამო ბაზების აქტიური მონიტორინგი; ინფორმაციის ვერიფიკაციის უნარი და ა.შ. ინტერვიუს სესიებით დასტურდება, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი). უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, ინფორმაცია პროგრამის შესახებ განთავსებულია ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები ; ▪ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ▪ კურიკულუმის რუკა; ▪ დასაქმების ბზრის კვლევა; ▪ საგანმანათლებლო კომიტეტების მუშაობის ოქმები ;

▪ უსდ-ს ვებგვერდი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ძირითადი სპეციალობის, როგორც სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის ნაწილში. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და

დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება, გარდა სასწავლო კურსისა "სამაუწყებლო ტელეპროდუსირება", რომელიც მიზნებითა და შედეგებით ითვალისწინებს სამაუწყებლო მედიის პროდიუსინგის თავისებურებების გაცნობას, გადაცემებისა და პროგრამების მომზადების პროცესში პროდიუსერის ადგილისა და როლის გააზრებას. ასევე ითვალისწინებს სამაუწყებლო პროდუქტის პროექტებისა და სცენარების მომზადებას, თუმცა წარმოდგენილი სასწავლო და საკითხავი ლიტერატურისა და შეფასების კომპონენტების მიხედვით, ირკვევა, რომ სასწავლო კურსი ფოკუსირებულია სატელევიზიო მიმართულებაზე. სამაუწყებლო პროდუსირება კი ცხადია, მხოლოდ ტელევიზიის მიმართულებას არ გულისხმობს და მედიაპროექტები შეიძლება მომზადდეს რადიომაუწყებლობაშიც. პროგრამით წარმოდგენილი სხვა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ასახავს სფეროს აქტუალურ მიღწევებსა და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • კურიკულუმის რუკა; • ინტერვიუს სესიები: • პროგრამის ხელმძღვანელებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები: • „სამაუწყებლო პროდუსირების“ სასწავლო კურსის შინაარსი (მათ შორის შეფასების კომპონენტები, ლიტერატურა) დაკორექტირდეს კურსის მიზნებისა და შედეგების შესაბამისად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„მედიის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამა, საფეხურისა და სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა კვლევის უნარების ჩამოყალიბებას. წარმოდგენილი პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია ისეა შედგენილი, რომ კვლევითი კომპონენტი გამჭოლად გასდევს პროგრამას, თითქმის ყველა სავალდებულო და არჩევითი კურსი პირდაპირ ან ირიბად ემსახურება სტუდენტის კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებას და ამზადებს მას სამაგისტრო ნაშრომის კვლევის განსახორციელებლად. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია - დარგობრივი ცოდნის, კვლევითი, შემოქმედებითი თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენა. ინტერვიუს სესიებით დასტურდება, რომ სამაგისტრო ნაშრომების ნაშრომების მომზადებას ხელმძღვნელობს კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პროფესორი. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესები რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტით (თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი).

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ სასწავლო კურსებში ვხვდებით პრაქტიკულ აქტივობებს, ექსპერტთა აზრით, პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი მეც სიცხადეს მოითხოვს. მემორანდუმების ფარგლებში, აღნიშნულ ორგანიზაციებში პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსის შეთავაზება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საუნივერსიტეტო განათლების თეორიული ცოდნის ტრანსფერის საფუძველზე აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარებას, რაც, თავის მხრივ, წარმატებული პროფესიული საქმიანობის წინაპირობაა. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით პროგრამის განვითარება საბოლოო ჯამში პროგრამის შედეგებთან შესაბამისობას არ დაარღვევს.

ინტერვიუს სესიებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები ჩართული არიან კვლევით პროექტებსა სამეცნიერო კონფერენციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები.
- (თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი).
- სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში;
- სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები;

- სტუდენტური კონფერენციების მაჩვენებელი.
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები დამსაქმებლებთან.
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

მემორადუმების ფარგლებში აღნიშნულ ორგანიზაციებთან შემუშავდეს პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გამოიყენება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი); წიგნსა და წყაროზე მუშაობა; ჯგუფური მუშაობის მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი

(მულტიმედიური საშუალებებით); ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; დისკუსია/დებატები; შემთხვევის შესწავლა (case study); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაში. აღნიშნული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურს. თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებული მეთოდი ბმაშია სასწავლო კურსის შინაარსთან და, ამდენად, პროგრამის ძირითადი სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება პროგრამის კურიკულუმს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები. ○ ინტერვიუს შედგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული „მედიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტთა შეფასების ფორმები და მეთოდები წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის და გამჭირვალეა. სასწავლო კურსების შეფასება შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან, რისი დეტალური აღწერაც მოიპოვება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სილაბუსში მოყვანილია შეფასების „დასწრება/აქტივობის“ ფორმა. ასეთი შეფასება დასაზუსტებელია. მაგ. მედია გარემოს შეფასებისა და მონიტორინგის კურსის სილაბუსში ლექციებზე დასწრება შეფასებულია 5 ქულით, ხოლო აქტივობა ცალკე შეფასებულია 15 ქულით. ვინაიდან, დასწრება ვერ იქნება სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებელი საშუალება, შესაბამისად, ვერ იქნება შეფასების კომპონენტი ან მეთოდი, რომელიც ცალკე შეფასდება. რეკომენდებულია, დასწრების კომპონენტი არ იყოს შეფასებადი და მხოლოდ აქტივობა (რომელიც სტუდენტის დასწრების გარეშე შეუძლებელია შეფასდეს) იყოს გამოყენებული. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც შედგება რეცენზენტის შეფასების (40 ქულა), სადაც ფასდება თემის აქტუალობა, კვლევის მეთოდოლოგია, ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი, ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი და ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე, და კომისიის შეფასებისგან (60 ქულა), სადაც ფასდება კვლევის სამეცნიერო ხარისხი, არგუმენტირების და დასკვნის უნარი, ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე, ნაშრომის ვიზუალური მხარე და მომხსენებლის საპრეზენტაციო უნარი და კომუნიკაციის უნარი. კომისიის შეფასების წინაპირობას წარმოადგენს მინიმალური ზღვარი, რომელიც შეადგენს 21 ქულას (40 ქულიდან). სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში, რაც წარმოადგენს არანაკლებ 51 ქულას. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • „მედიის კვლევების“ პროგრამა • პროგრამის სილაბუსები • ინტერვიუ
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, დასწრების კომპონენტი არ იყოს შეფასებადი და ქულები შესაბამისად იყოს გაწერილი აქტივობაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული „მედიის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, ამავე ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლებისგან, სწავლების ყველა ეტაპზე იღებს სათანადო

ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ.
სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ძირითადი ფუნქცია-მოვალეობებია: პირველკურსელთა საბუთების მიღება, სტუდენტების დახმარება მართვის ელექტორნულ სისტემაში სტუდენტის ანკეტის შევსებაში, მართვის ელექტრონული სისტემიდან შემოსულ სტუდენტთა კორესპონდეციაზე პასუხის მომზადება/გაცემა და ა.შ.
გარდა ამისა, უსდ-ს შემუშავებული აქვს მაგისტრატურის გზამკვლევი, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მასში დეტალურად არის აღწერილი სტუდენტის უფლებები და მოვალეობები, სტუდენტების დატვირთვა, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია და ა.შ.
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის არსებობს ასევე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, სადაც სტუდენტს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირების, მიღებული შეფასებებისა და მინიჭებული კრედიტების ნახვის საშუალება და სხვა.
აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, სემესტრის განმავლობაში ეტაპობრივად გადაიხდოს სწავლის საფასური. ადმინისტრაციული პერსონალის გარდა, მედიის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, კონსულტირების მეშვეობით, აკადემიური პერსონალისგან დახმარებას იღებს სასწავლო საკითხებთან დაკავშირებით.
ინტერვიუს, თვითშეფასების ანგარიშის და დოკუმენტაციიდან გამომდინარე, აღსანიშნავია ის, რომ პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები ინფორმირებულობი არიან ლოკალური და საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესების შესახებ, ისევე როგორც გაცვლითი პროგრამების შესახებ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს ნაკლებად გააჩნიათ ინფორმაცია ფაკულტეტზე მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესახებ (როგორიცაა, სემინარები, ტრენინგები, სახელმღვანელოების გამოცემა და ა.შ.) და, შესაბამისად, ნაკლებად არიან ჩართულები ამ პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება
- უსდ-ს ოფიციალური ვებ-გვერდი
- უსდ-ს მაგისტრატურის გზამკვლევი
- უსდ-ს სწავლის სემესტრული საფასურის ეტაპობრივი გადახდის შესახებ
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა: lms.tsu.ge
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა:

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტების მეტი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა იმ შესაძლებლობების თაობაზე, რასაც პროგრამა მათ სთავაზობს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები. თსუ-ს „მედიის კვლევების“ სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურის შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსუ-ს აკადემიური პერსონალი (სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი), ემერიტუს–პროფესორი, თსუ-ს სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ–თანამშრომელი, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი. სამაგისტრო ნაშრომს შესაძლებელია ჰყავდეს თანახელმძღვანელიც. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელ(ებ)ი ვალდებულია, თითოეულ სტუდენტს დაეხმაროს ნაშრომზე მუშაობის პროცესში, კერძოდ: ა) გამართოს რეგულარული პირისპირ და/ან ონლაინ შეხვედრები სტუდენტთან ან, საჭიროებისამებრ, სტუდენტების ჯგუფთან; ბ) მიაწოდოს სტუდენტს ინფორმაცია ნაშრომის მომზადების ზოგადი რეგულაციების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია ჯანმრთელობისა და უსაფრთხობის წესებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკავშირებით, ასევე, აკადემიური ეთიკის, მონაცემთა დაცვის, პლაგიატის შესახებ; აუხსნას სტუდენტს ნაშრომის მომზადების, წარდგენისა და შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურები. გ) გაუწიოს კონსულტაცია კვლევის კონცეფციის შემუშავების პროცესში (მაგ.: საკვლევი საკითხის ჩამოყალიბება, კვლევის დიზაინის შემუშავება, კვლევის მეთოდების განსაზღვრა და სხვ.).

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბევრი ხელმძღვანელი უძღვება თემებს როგორც სამაგისტრო, ასევე საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებზე, შესაბამისად, გარკვეულწილად იკვეთება აკადემიური პერსონალის (ხელმძღვანელების) ნაკლებობა. სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევა ხდება აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში. მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის სათაური და ხელმძღვანელი მტკიცდება შესაბამისი ინსტიტუტის სხდომაზე, რის შესახებაც დგება ოქმი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის დამატება, რათა მოხდეს ხელმძღვანელობის დატვირთვის რაციონალური გადანაწილება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა, ასევე სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„მედიის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 აკადემიური პერსონალი (5 სრული და 7 ასოცირებული პროფესორი), და 9 მოწვეული პერსონალი.აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისია. მათ უმრავლესობას, გარდა კვლევითი გამოცდილებისა, გააჩნია მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, რაც ორივე, პრაქტიკულ და სამეცნიერო, კომპონენტს შორის ბალანსის დაცვის და სტუდენტების კომპლექსური სწავლებით უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა. ამ გარემოებას არაერთხელ გაესვა ხაზი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიუირებისას.

პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მნიშვნელოვანი გამოცდილება, გამოქვეყნებული აქვთ ათეულობით სამეცნიერო სტატია, ასევე დაწერილი აქვთ მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის წარმართვის მკაფიო ხედვა. სტუდენტები და კურსდამთავრებულები ხაზს უსვამენ მათ კომპეტენციას და ავტორიტეტს.

პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ასევე, აქვს სამეცნიერო ნაშრომების, კონფერენციებში მონაწილეობის და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების მოპოვების დიდი ნუსხა, რაც, ინტერვიუების შედეგებთან ერთად, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ როგორც პროგრამის ხელმძღვანელებს, ასევე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნია სტანდარტის შესაბამისი კომპეტენცია, ცოდნა და გამოცდილება და ჯამში შეუძლიათ უზრუნველყონ პროგრამის მდგრადობა. პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელშეწყობით, მას ემსახურება კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. დამხმარე პერსონალისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე გაწერილია სპეციალური დადგენილებით. იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური პერსონალი გარდა სამაგისტრო პროგრამისა, საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებშიც აქტიურადაა ჩართული, მათი დატვირთვა ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მოცულობითია. სასურველი იქნება უნივერსიტეტმა იფიქროს აკადემიური პერსონალის გაზრდაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან. • თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება და ფაკულტეტის სტრუქტურა https://www.tsu.ge/ge/faculties/social/news/ • აკადემიურიდა მოწვეული პერსონალის CV-ები • პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია • აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით • პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პირადი საქმე • სტრუქტურული ერთეულების და დეპარტამენტების დებულებები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის სამსახური რეგულარულად ატარებს გამოკითხვებს აკადემიურიდა მოწვეული პერსონალის შესაფასებლად. ამას გარდა, აკადემიური პერსონალი რეგულარულად წარუდგენს ხარისხის სამსახურს ინდივიდუალურ ანგარიშებს გაწეული სამეცნიერო სამუშაოს შესახებ. საბოლოო ჯამში კი ამ ინფორმაციის ანალიზს ახდენს ფაკულტეტის საბჭო, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს, მათ შორის სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვების საფუძველზე. შედეგები, ანალიზი და რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს და ზოგიერთ შემთხვევაში პერსონალს, ინდივიდუალურად. ამ გზით შეფასების შედეგები გამოყენებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების (ტრენინგები, სემინარები, კონფერენციები და სხვ.) როგორც ფინანსური, ასევე, ორგანიზაციული მხარდაჭერისთვის. შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პერსონალის დაწინაურებასა და წახალისებაში. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურები ყოველწლიურად აანალიზებენ პერსონალის აქტივობასსაგრანტო კონკურსებში და აფასებენ სამეცნიერო პროდუქტიულობას, რაც შემდეგ ფაკულტეტის ვებ-გვერდზე ქვეყნდება. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების უზრუნველყოფას უსდ ახორციელებს. აკადემიური პერსონალი მონაწილეობს გაცვლით პროექტებში მსოფლიოს მაღალრეიტინგულ უნივერსიტეტებში და ახორციელებს სამეცნიერო კვლევით საქმიანობას უცხოელ კოლეგებთან ერთად. ამას გარდა, რამდენიმე პროფესორი ატარებს პერიოდულ საჯარო ლექციებს. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“, ასევე ხორციელდება პროექტები, გამოიცემა სახელმძღვანელოები, ტარდება სემინარები და ტრენინგები, მათ შორის უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია ამ ღონისძიებების შესახებ და მონაწილეობენ მათში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან • თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა • თსუ-სა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდები • თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გააქტიურება პროგრამის მიმდინარეობის შესახებ და მათი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის დახვეწისა და განვითარების პროცესში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას ემსახურება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკები, კომპიუტერული ბაზები და სარესურსო ცენტრები. სტუდენტებისა და ლექტორების განკარგულებაშია შემდეგი ელექტრონული რესურსები: Jstor, Ebsco, Cambridge University Journals. უსდ-ში ვიზიტისას, საბიბლიოთეკო ბაზის შერჩევითი შემოწმებისას, ადგილზე აღმოჩნდა სასწავლო კურსისთვის არსებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები. კონკრეტულ სემესტრში მოქმედი სასწავლო კურსის მასალები ატვირთულია e-learning.tsu.ge-ზე, Moodle-ის სასწავლო პლატფორმაზე და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. შერჩევითმა შემოწმებამ აქაც ხარვეზი ვერ აღმოაჩინა. პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თსუ-ს რამდენიმე სასწავლო კორპუსი: პირველი, მეორე, მეოთხე, მეექვსე, მერვე კორპუსები და თსუ-ს ტურიზმის სკოლის შენობა. სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ: სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, ნიუსრუმი, კომპიუტერული რესურს-ცენტრი, რომელშიც ხდება ბეჭდური მედიის სასწავლო კურსის ფარგლებში მომზადებული პროდუქციის დაკაბადონება. ინტერვიუირებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით, რაც სწავლისა და პრაქტიკული სამუშაოსთვის არის საჭირო. განსაკუთრებით პოპულარობით მათში სარგებლობს საფაკულტეტო მულტიმედიაცენტრი, სადაც შეუძლიათ ჟურნალისტური პროდუქტის შექმნა. აღსანიშნავია, რომ ეს ცენტრი აშშ საელჩოს დაფინანსებით არის მოწყობილი და აღჭურვილი, და გააჩნია თანამედროვე ტექნიკა, ტელე და რადიოსტუდიები და ნიუსრუმი მომავალ ჟურნალისტთა დახელოვნებისთვის. ფაკულტეტის შენობაში უზრუნველყოფილია უსაფრთხოების ზომები, მათ შორის კოვიდ-რეგულაციების კუთხითაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფაკულტეტის შენობის დათვალიერება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება • გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან • თსუ-ს ვებგვერდი • უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ბიბლიოთეკები. ბიბლიოთეკის კატალოგი • ფაკულტეტის ბაზაზე არსებული ინვენტარის ჩამონათვალი • მულტიმედია ცენტრის ვებგვერდი http://multimedia.tsu.edu.ge/
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ–ს ბიუჯეტის საფუძველზე. პროგრამა ფინანსდება ფაკულტეტისთვის ყოველ წელს უნივერსიტეტიდან გამოყოფილი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში, ასევე, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა - დამტკიცების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები. საფაკულტეტო ბიუჯეტი დგება ყოველწლიურად თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო თანხების გათვალისწინებით. ბიუჯეტში გაწერილია ყველა პროგრამული ხარჯი, მათ შორის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები, წიგნადი ფონდის განახლების ხარჯი, გამომცემლობითი ხარჯები და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ უსდ-ის ბიუჯეტი ▪ პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი ▪ გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- თსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახური შედგება ორი განყოფილებისაგან - ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილება. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის მუდმივ შეფასებას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PDCA” პრინციპის შესაბამისად.
- საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. თუმცა, მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიურების პროცესში გარკვეულწილად გამოვლენილ იქნა მეტი ჩართულობისა და კომუნიკაციის საჭიროება. ინტერვიუს ფარგლებში გამოვლენილი არათანაბარი ინფორმაციულობის გათვალისწინებით, სასურველია გააქტიურდეს დამატებითი აქტივობების ინიცირება სტუდენტთა და მოწვეულ ლექტორთა ჩართულობის წახალისებისთვის.
- უსდ-ს დანერგილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ფუნქციონირების პრაქტიკა. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის საქმიანობა გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში. კომიტეტში, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, შედის ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები, საჭიროების შემთხვევაში. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს კომიტეტისა და თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ

გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - „მედიის კვლევები“; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ხარისხის უზრუნველყოფის დებულება; • სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება; • სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება; • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა; • სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი; • საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები; • სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვისა და ფოკუს-ჯგუფების შედეგები; • განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ინტერვიუს ფარგლებში გამოვლენილი არათანაბარი ინფორმაციულობის გათვალისწინებით, სასურველია გააქტიურდეს დამატებითი აქტივობების ინიცირება სტუდენტთა და მოწვეულ ლექტორთა ჩართულობის წახალისებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, გარე ექსპერტის შეფასებას, რომლის ფარგლებშიც აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან. აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს ხარისხის კულტურის ინსტიტუციურ განვითარებას, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას და პროგრამულ კომიტეტებთან ეფექტიან თანამშრომლობას, ასევე დარგობრივ ექსპერტთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და სხვა შესაძლო დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას.

პროგრამის გარე შეფასების ფარგლებში, წარმოდგენილია მხარდაჭერის წერილი აშშ–ს საელჩოსგან. წერილის შესაბამისად, დასტურდება საელჩოსა და უსდ-ს თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და თანამშრომლობის გაღრმავების სამომავლო შესაძლებლობები. თუმცა, სასურველია პროგრამას ჰქონდეს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება, რაც რეალურად წაადგება პროგრამის შესაძლებლობებისა და კურიკულუმის გაუმჯობესებას, დარგის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - „მედიის კვლევები“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა (2011წ.)
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სხვა ანალოგიურ პროგრამებთან შედარების შედეგების ანალიზი;
- აშშ-ს საელჩოს ხმარდაჭერის წერილი;
- ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- სასურველია კოლეგიალური შეფასების განხორციელება აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით, რაც წაადგება კურიკულუმისა და შესაძლებლობების გაუმჯობესებას, დარგის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას. ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარებისათვის. აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგების შესაბამისად, არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დანერგილი პროგრამების კოლეგიალური განმავითარებელი შეფასების მექანიზმის შესაბამისად, პერიოდულ მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამები, რომლებიც აკრედიტაციის ვადის ფარგლებში რეგულარულად განიცდიან ცვლილებებს და ის პროგრამები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად განიცდიან ცვლილებებს. აღნიშნული სააკრედიტაციო პროცესის სიმულაციური ფორმატი ხელს უწყობს პროგრამების შეფასებას, ასევე, დაინტერესებულ და ჩართულ მხარეთა მიერ პროგრამების განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას.

ინსტიტუცია აქტიურად მუშაობს, პროგრამის თვითშეფასების ელექტრონულ პლატფორმაზე გადატანის მიმართულებით. აღნიშნული პროგრამის მეშვეობით, პროგრამის ხელმძღვანელს ექნება საშუალება ყოველწლიურად განახორციელოს პროგრამის თვითშეფასების მომზადება ავტომატურად გენერირებად ინდიკატორებზე დაყრდნობით, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მუდმივი წვდომა თვითშეფასებასა და გამოკითხვის შედეგებთან, ეფექტური მონიტორინგის განხორციელების მიზნით.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სამიზნე უნივერსიტეტები შერჩეულია დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით წარმატების მაჩვენებლების შესაბამისად. პროგრამის განვითარების პროცესში მოკვლეულ იქნა როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო გამოცდილება. პროგრამების დადარება განხორციელდა შემდეგი კრიტერიუმის გამოყენებით: სწავლის მიზანი, შედეგები, პროგრამის სტრუქტურა და საგნების შინაარსობრივი მხარე. ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პროგრამების მსგავსება, როგორც ზოგადად პროგრამის, ასევე ცალკეული სასწავლო კურსების დონეზეც, იდენტიფიცირებულ იქნა განსხვავებები და უპირატესობები. შესაბამისად, გამოიკვეთა პროგრამის მეტად მსგავსება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება“, სამაგისტრო პროგრამასთან და ასევე, გაზიარებულ იქნა გაერთიანებული სამეფოს სტერლინგის უნივერსიტეტის, ლივერპულის ჯონ მურსის უნივერსიტეტის და ირლანდიის დუბლინის უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამების გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - „მედიის კვლევები“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერის წერილი;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სხვა ანალოგიურ პროგრამებთან შედარების შედეგების ანალიზი;
- ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების მექანიზმი, ე.წ. აკრედიტაციის სიმულაციური ფორმატი.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • პროგრამის თვითშეფასებისა და შესაბამისი პროცესების ელექტრონულ პლატფორმაზე გადატანა.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: „მედიის კვლევები“, სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნატალია თვალჭრელიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო შოშიტაშვილი

მალხაზ გაგუა

თამთა ცხოვრებაძე

ანა ბოკუჩავა